ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი: **42-4224275192**
თარიღი: **01/10/2024**

ადრესატი: სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია სამეგრელო–ზემო სვანეთში

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ
ერთეულებში (აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის,
სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა
და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში) სახელმწიფო
რწმუნებულის მოადგილეს, ბატონ დავით ვერავას

ბატონო დავით,

თქვენი, 2024 წლის 20 სექტემბრის N 01/930 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მალთაყვის უბნის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2020 წლის 27 თებერვლის, N 4/4 დადგენილების თანახმად სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქალაქ ფოთში, გურიის ქუჩაზე მდებარე 2000 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი 04.02.12.987) მდებარეობს ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონაში (ლსზ) (უბანი-ჩ/სექტორი-1), რომელიც შესაძლოა გამოყენებულ იქნას ვიზიტორთა ცენტრის გასაფართოვებლად, სადაც დასაშვებია პარკის ინფრასტრუქტურა და საჭიროების შემთხვევაში ვიზიტორთა ცენტრის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი შენობა-ნაგებობები.
ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია, კომპეტენციის ფარგლებში არ არის წინააღმდეგი, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განახორციელოს აღნიშნული მიწის ნაკვეთის პრივატიზება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, მასზე დადგენილი ზონის შესაბამისად, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ ქონების პრივატიზება განხორციელდება სახელმწიფო მნიშვნელობის ქონებად და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელდება კუთვნილი თანხის ჩარიცხვა.

პატივისცემით,

ბექა ვაჭარაძე

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია-ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი